№ 10. 14 იანვარი, შაბათი. 1866—1884 14 იანვარი, შაბათი. № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა. . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

წმ. ნინოს დღესასწაულის გამო, ხვალ, კვირას, გაზეთი არ გამოვა.

მიიღება ხელის-მოწერა

ამ 1884 წლისათვის გაზეთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) — — | 9 მან. | 6 თვით — — | 5 მან. |
| 11 თვით — — | 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — | 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — | 8 მან. | 4 თვით — — | 4 მან. |
| 9 თვით — — | 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — | 3 მან. |
| 8 თვით — — | 7 მან. | 2 თვით — — | 2 მან. |
| 7 თვით — — | 6 მან. | 1 თვით — — | 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 15 იანვარს

ბენეფისი ა. მ. მოხევისა

ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ალმზდელები

კომ. 3 მოქმ. თხზ. ა. მოჩხუბარიძისა.

II

თამარ ბატონი-შვილი

მეოთხე მოქმედება.

III

ცულლუტი

ვოდევილი 1 მოქმედებ. ფრანცუზულიდან, გ. მოჩხუბარიძისა.

დასაწყისი 8 საათზედ. (3—3)

## ხმოსნებისა და მოსამართლეების ახალი მოსარჩლე.

თბილისი, 14 იანვარს.

ყველამ იცის, რომ ფრთა-შეკვეცილი ფრინველი ჰაერში მაღლა ფრენას ვერ მოახერხებს და თუნდა სურვილიც დიდი ჰქონდეს, ძალა ვერ შესწევს და, ორიოდ შეფართხალების შემდეგ, უღონოდ ისევ მიწაზედ დაეცემა. როგორც ეტყობა, ახალი რუსული გაზეთი ამ აზრისა არ არის და მას სწამს, რომ საჭიროა მხოლოდ კაცს სურვილი და ღონე ჰქონდეს, თორემ ფრთების-შემკვეცი მაკრატელი იმდენს ვერასა იქს, რომ ალმაფრენას რაიმე დაბრკოლება მიაყენოს. ღმერთმა ჰქნას, რომ «ახალს მიმოხილვას» თავისი აზრი გაუმართლდეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით, ჩვენდა სამწუხაროდ, ამის ნიშნებს ვერსად ვხედავთ...

«ახალი მიმოხილვა» თავის მე 8 №-ში ჯავრობს პროვინციალური ლიტერატურაზედ — თქვენ მარტო ხმოსნებსა და მოსამართლეებს მისცვივდებიხართ და იმათ მეტი საკბილო ვერაფერი ამოგირჩევიათო. ხმოსნებმა სხვადასხვა წვრილი ქალაქებისამ რა ჰქნან, რომ ქალაქს შემოსავალი არსაიდამ რა აქვს, და ან მოსამართლეები რას გახდნენ, როდესაც ზოგიერთებს დღეში ერთმანერთზედ ანგარიშით 15-ზე მეტი საქმე შეხვდებათ ხოლმეო!

როგორც ეტყობა, «ახალს მიმოხილვას» კბილები უფრო სხვა უმაღლესი სულ დგმულებისათვის გაულესია და კიდევ ვამბობთ, ღმერთმა ჰქნას, რომ იმედები არ გაუცრუვდეს და შეუჩვეველმა ხილმა კბილები არ დააჭრას. ჩვენ კი ასე აღმაფრენას ვერ მოვყვებით და საკმეველს ვერ ვუკმევთ ვერც ხმოსნებს მარტო იმისათვის, რომ ისინი თვით-მმართველობის წევრნი არიან, თუ კი თვით-მმართველობა საწველელ ფურად გადაუქცევიათ; ვერც მოსამართლეებს,— მარტო იმისთვის, რომ ისინი არიან წარმომადგენელნი რეფორმის დროის სამართლისა, თუ კი ივიწყებენ თავიანთ მოვალეობას და ხალხს შესაფერს სამართალს ვერ უჩენიან. გამოჩენილი ადვოკატებისათვის სასამართლო კარი ყოველთვის ღიაა და მეტის-მეტად გასაკიცხნი არ არიან, თუ ვერ იგრძნობენ იმ უსიამოვნობასა და გაჭირვებას, რასაცა გრძნობს ხოლმე 8 საათისათვის დაბარებული ხალხი, მშიერ-მწყურვალი 1 საათამდე მომრიგებელი მოსამართლის მოლოდინე—ესეთი მცირედი რამ აბა რა სახსენებელია მაღალ ფარდებში ასულ პრესისათვის—მაგრამ «ახალი მიმოხილვის» რედაქციას კი ის უნდა სცოდნოდა, რა მნიშვნელობა აქვს იმისაგან მოყვანილს სტატისტიკას 15 საქმისას დღეში; უნდა სცოდნოდა, რომ ხშირად მთელი თვე მომრიგებელი მოსამართლე თითო საათობითაც კი არ მიდის სასამართლოში და ბოლოს, როცა ანგარიშის წარდგენის დრო მოვა, ერთად მოუყრის საქმეებს თავსა, ხშირად იმისთანა საქმეებს, რომელთაც მხოლოდ ანგარიშისათვისა აქვთ მნიშვნელობა.

ეს ყველა უნდა სცოდნოდა «ახალს მიმოხილვას», იცოდა და იცის კიდეც და ამის გამო ვერ გაგვიგია ასე უეცარის მოლოდინევების მიზეზი, მით უფრო, რომ თვითონვე ახლმა გაზეთმა ორიოდე კლანჭი გაჰკრა იმათ, ვისაც ახლა ასე თავ-გამოდებული ექომაგება.

## შინაური ქრონიკა

— დღეს ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს დღეობაა. კარგი იქნებოდა, რომ ამ ყველა ქართველთათვის დიდებულს დღეს, სიონის სობოროში

---

«დროების» ფელეტონი, 14 იანვარი.

### ახალი წელი

ახალმა წელმა მცინარედ
მოუკაკუნა კარებსა
და დაიძახა: «იფხიზლეთ,
ნუღარა ხუჭავთ თვალებსა!

ფარულად მოიპარება
თქვენსკენა მომავალიო
და მასთან შეყრა გულ-წრფელად
აწ არის თქვენი ვალიო.

ზაიმამაცეთ მკლავები,
ჭუდი მიარტყით ჭერსაო,
ახალს ახალი მოსთხოვეთ,
წესი აუგეთ ძველსაო.

1 იანვარი, 1884 წ. ცახელი.

### სალდათი ჰიპმანი

(ალექსის ბუგიესი)

«სალდათი კარლი ჰიპმანი — მხნე სალდათია და მისი სასახელო ქცევა სამაგალითოა მთელი გერმანიის ჯარისათვის.»

სამჯერ ერთსა და იმავე დილას წაუკითხეს ეს სიტყვები გერმანიის ჯარის მეოთხე კორპუსის სალდათებს. სამჯერ კარლი ჰიპმანი, მათი გამგონე, გაწითლდა, როგორც სისხლი, რომელიც მან დააქცია.

კარლი ჰიპმანი იყო ოც-და-ორი წლისა, მაღალი, კარგად ჩასხმული და ტანადი ახალ-გაზდა. თავი ცოტა პტყელი ჰქონდა, თითქმის ოთხ-კუთხიანი, მაგრამ ეს ხომ ერთობის ნიშანია. მასზე ამბობდენ:

— ჰიპმანი—ცხვარია; გულ-რბილი, გულ-კეთილი,—რწყილსაც ვერაფერს ავნებსო.

თმა ჰქონდა ყვითელი, როგორც ჩალა, ლოყები ფეროვანი, აქა-იქ შემოსილი თეთრი ბუსუსით, მისი ცისფერი თვალები ისე ნაზად იცქირებოდენ, რომ თითქო მათი პატრონი ვერა ხედავდა ვერაფერს. პირველ ნახვაზე, ვინც კი შეხედავდა ჰიპმანს, იტყოდა:

— აი სულელი!

მაგრამ, ვინც დიდი ხნობით იცნობდა მას, ამბობდა:

— აი კეთილი კაციო!

ჩვენ კი, ჩვენ ვიტყვით ერთად იმ ბრძანებასთან, რომელიც გამოეცხადა გერმანიის ჯარს:

ჰიპმანი—მხნე სალდათია და მისი სახელოვანი ქცევა სამაგალითოა მთელი გერმანიის ჯარისათვის.

აი ფაქტები:

როდესაც საფრანგეთის ჯარმა, ნემეცების ბატარეებით დამსხვრეულმა, გადიარა სოფელ ბაზეილზე, ყველა ადგილობრივი მცხოვრებლები—მამაკაცები, ქალები და ბავშვები, სცდილობდენ დაეფარათ ეს უკან-დახეული ჯარი. მხნე სოფლელები ესროდენ პრუსიელებს ბარიკადებიდამ, სახლების ფანჯრებიდამ და ზემო სართულებიდამ; ქალები და ბავშვები კი ქვების სეტყვითა ხვდებოდენ წინ ძლევა-მოსილ მტერს. მაგრამ როცა საფრანგეთის სალდათები გავიდენ სოფლიდამ, პრუსიელების გენერალმა უბძანა თავის სალდათებს წაესვათ იმ სახლებზე, რომლებშიაც სოფლელები იმალებოდენ, კაუპრი და ცეცხლი მოეკიდებინათ. მერე მანვე ჩაამწკრივა ქუჩის თავებში მსროლელები და უბძანა — თვითოეულს, ვინც კი გამოვა ცეცხლ-მოდებულ სახლებიდამ, ესროლეთ თოფი და მიაწვინეთ იქვეო.

ასტყდა საშინელი ამბავი; ნემეცები, მონადირეებსავით ჩასაფრებულნი ესროდენ ყოველ აჩრდილს, რომელსაც კი მოჰკრავდენ თვალს კვამლში, ცეცხლის ტკაცუნში და ალიაქოთში. მომაკვდავთა კვნესაზე ისინი პასუხს აძლევდენ ხარხარით და სიხარულის კიჟინით.

ცივად და აუჩქარებლად სალდათი კარლი ჰიპმანი უმიზნებდა, ესროდა და სთვლიდა.

— თოთხმეტი,—წარმოსთქვა მან.

ამ დროს მაიორმა ალერსიანად დაჰკრა მას მხარზე ხელი.

— სალდათი ჰიპმანი—მხნე სალდათია,—სთქვა მან,—და მის სასიქადულ-

ახლად შედგენილის ხმის ქართული გალობა გაგვეგონა.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ს. მცხეთის ერთ ქალაქელ სომხის მდიდარს და გულუხვს ქრისეს მოუწადინებია სომხის ეკლესიასთან სასოფლო სკოლის გამართვა, მოურთავს-მოუწყვია ოთახები ყველა ნივთებით და მიუნდვია ტერტერასთვის მოწაფეების მოგროვება; თითონაც თურმე აპირებდა თბილისიდამ მასწავლებლის გაგზავნას, მაგრამ ორმოცამდის კომლს სომეხში სწავლის მოწადინენი არ აღმოჩენილან—არც ერთს არ მიუბარებია ბავშვი სკოლაში. ვინც იცის ჩვენი ქართლ-კახეთის სოფლების გარემოება, ეს ამბავი არ გააკვირვებს; აქ სომეხნი ქართველებისგან არც ენით და არც ჩვეულებით არ ირჩევიან.

გაზ. «Нов. Обоз.»-ს ქ. ბაქოდამ ატყობინებენ ტელეგრამით: «10 იანვარს დიდის ამბით აკურთხეს ახალი ვოგზალი რკინი-გზისა; სხვათა შორის, გამართული იყო მშვენიერი საუზმე. 11 იანვარს პირველი მატარებელი გამოვიდა ახალი ვოგზალიდამ».

იმავე გაზეთის სიტყვით, კავკასიის ფოსტის ცვლილებათა ახალი პროექტი შეუდგენიათ სამინისტროში. ამ პროექტით უნდა გაუქმდეს უმთავრესი გამგეობა კავკასიის ფოსტისა, რომელიც ეხლა იმყოფება თბილისში, და გადავიდეს სამინისტროს პირ-და-პირ ქვემდებარებაში. ეხლანდელი გამგეობის მაგიერ, შესდგება ცალ-ცალკე კანტორები მცირე შტატებით.

იმავე გაზეთში დაბეჭდილია პროცესი კავკავის მასწავლებელი მაგენისა, რომელსაც სილა გაურტყავს დირექტორ ვინოგრადოვისათვის. საქმის შინაარსი ის არის, რომ მაგენი 1881 წ. ჩამოვიდა კავკავში, რათა გაეხსნა ახალი ენების კურსები და ამ გვარი შრომით მოეპოვებინა ლუკმა-პური. მაგრამ ჯერ მანამ კურსებს გახსნიდა, იმან აიღო მასწავლებლის ადგილი კავკავის კლასიკურ პროგიმნაზიაში, 29 მანათზე თვეში, იმ განზრახვით, რომ ჯერ გაეცნო თავის მეთოდსათან კავკავის საზოგადოება და მერე დაეწყო საკუთარი საქმე. ვინოგრადოვს პირველად სწორედ ჭკვა მიზდიოდა მაგენისთვის, სულ მის ქებაში იყო; მაგენს უყურებდენ, როგორც პატიოსანს, ჰუმანიურს კაცს, რომელიც წინააღმდეგი იყო ყოველი სასტიკი მოქმედებისა შეგირდებთან. ბოლოს ვინოგრადოვმა უცებ აიცრუა გული და ხმებიც გაავრცელა, ვითომ მაგენი გიჟი ყოფილიყოს. მაგენს ქუჩებშიაც ერიდებოდენ და ხმა-მაღლა გიჟიც დაუძახეს ერთხელ. იმან იცოდა, რომ ეს ბარბაროსული საქციელი კავკაველებისა სულ ვინოგრადოვის საქმე იყო. იმავ დღეს, 20 იანვარს 1883 წ., გაექანა მაგენი კლუბში და იქ ქაღალდის მოთამაშე ვინოგრადოვს სთხლიშა სილა, ოცი მოწამის დასწრებით. კავკავის ოლქის სასამართლომ წარსული დეკემბრის 17—18 ორი თვით დატუსაღება გადაუწყვიტა, მაგრამ მანიფესტის ძალით, იმისაგანაც გაანთავისუფლა. საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო სამართლის განაჩენი

ჟურნალს «Морской сборникъ»-ში ბ. დომოჟიროვი სწერს—ეხლა თითქმის შეუცდომელად შეიძლება ითქვასო, რომ ბაქოს ნავთით ადვილი მოსახერხებელია ზღვაში ცეცხლის გემების გათბობაცაო. აქამდის ბევრჯელა სცადეს უნაყოფოდ, მაგრამ ბოლოს, ცოტაოდენი ცვლილების შემდეგ მატარებლების კონსტრუქციაში, ნავთის ხმარება შესაძლებელი ხდებაო. ეს თუ მოხერხდა, დიდი მომავალი ელის ჩვენს ნავთსა.

## სოფლის ფოსტა თელავის მაზრაში.

ამას წინად მე მომიხდა ორიოდე კვირით სოფელში ყოფნა. უფოსტობისაგამო, არ მომდიოდა არც გაზეთი, არც ჟურნალი, არც წერილი, და ვიყავ დანაშთენ ქვეყანასთან კავშირ-მოწყვეტილი. ჩემთვის, მიყრუებულს ადგილს ცხოვრებას არა-ჩვეულისათვის, ერთი ათად უფრო მძიმე იყო ამ ცხოვრების ატანა. მუდმივ სოფელში მცხოვრებსაც, რასაკვირველია, მეტად აწუხებს ეს განმარტოება, ქვეყანაში გამოსალმება და მისი ცხოვრება სხვაფრივ მოეწყობოდა, თუ ყველა სოფლებში კვირაში ორჯერ მაინც ივლიდა ფოსტა, ორჯერ მაინც გაიგზავნებოდა ქალაქიდამ წერილები, გაზეთ-ჟურნლები, უწყებანი, ტელეგრამები და სოფლებიდამაც იქნებოდა მიღებული სხვა ქალაქ—სოფლებში გასაგზავნი წერილები და საქმეები.

ეს წესი ერთი ათად გააცოცხლებდა სოფლელთა აწ მიყრუებულს კავშირს დანარჩენ ადგილებთან და ამ უკანასკნელებისას სოფლელებთან, ერთი ათად გააცხოველებდა აღებ-მიცემობას, ერთი ათად შეამცირებდა სოფლელთა ხარჯსა ქალაქის ფოსტებიდამ წერილების მიღებაზე და სოფლებიდამ გაგზავნაზე, რადგანაც ეხლა, უფოსტობისა-გამო, ყოველმა პირმა ცალკე კაცი უნდა გაგზავნოს წერილის თუ გაზეთის მისაღებად, ანუ წერილების გარდასაცემად ქალაქის ფოსტის კანტორაში. ჩვენ იმას აღარ ვან გარიშობთ, თუ რამდენჯერ, წერილის გაგზავნის საშუალების უქონლობისა-გამო, კაცი სრულიად უარსა ჰყოფს და ხელს იღებს მიწერ მოწერაზე, როდესაც მისი ნაცნობი, ნათესავი თუ მეგობარი, ცხოვრობს შორს სამაზრო ქალაქის ფოსტის კანტორიდამ.

მაგალითად ავიღოთ ორი სოფელი თელავის მაზრისა: ართანაში მცხოვრებს სურს წერილი გაუგზავნოს თავის ნათესავს, თუ მეგობარს, რომელიც ცხოვრობს კაჩნაძიანში. ახლა, როგორ? აქ მხოლოდ ერთი საშუალებაა: ცხენიანი კაცი უნდა გაგზავნოს და მით სამს დღეს მოაცდინოს იგი, რადგანაც კაჩნაძიანში არც ართანიდამ და არც თელავიდამ არ დაიარება ფოსტა.

ასაცილებლად ყოვლის ზემოთ თქმულისა, მე ვბედავ მივმართო თელავის მაზრის ხალხს წინადადებით: ვცადოთ და დავიწყოთ ქ. თელავში «საზოგადოება სასოფლო ფოსტისა», რომლის უმთავრესი დანიშნულება იქნება, რომ კვირაში ორჯერ თელავში მიღებული წერილები და ფოსტა ყველა სოფლებში დაურიგოს ცხენიანი კაცების ხელით და აგრეთვე მიიღოს სოფლელთაგან სხვაგან გასაგზავნი წერილები და საქმეები. ყველა, ვინც შემოიტანს საზოგადოების დახლში წელიწადში ოთხს მანეთს, იქნება წევრი საზოგადოებისა; საზოგადოება თავის ვალად სდებს, კვირაში ორჯერ, უფულოდ, გაუგზავნოს თავის წევრებს თელავის ფოსტაში და სხვაფრივ მიღებული წერილები, უწყებანი, გაზეთ-ჟურნალები, ტელეგრამები და აგრეთვე წერილები თელავის თუ მის მაზრის მცხოვრებლებისაგან გარდმოცემულნი გასაგზავნად. ამას გარდა, თელავის სასოფლო ფოსტის საზოგადოება დგება მოვალედ, რომ მისი კაცი სოფელში მოსვლის დროს მიიღებს წევრთაგან მაზრაში გასაგზავნ წერილებს უფასოდ და თელავის ფოსტაში გარდასაცემად კი მარკებ-დაკრულს. წესდება ამ ახალის საზოგადოებისა მზად იქნება ამ ცოტას ხანში, რომელზედაც ვსთხოვთ თელაველებს და კახელებს, რაც შეიძლება, მომეტებულმა მოაწეროს ხელი ამ ერთი წლით მაინც, რომ გამოვცადოთ ეს საქმე. ჩემის ფიქრით, ამ საქმის დაწესებისათვის საჭირო იქნება რვაასი მანათი; მოგვეცით ორასი წევრი ოთხი მანათის წილის ფულით და საქმე მოგვარდება. ამ ჟამად ჩვენ ვნიშნავთ თვითეულს წევრზე ოთხს მანეთს, მაგრამ დარწმუნებული იყოს ყველა, რომ შემდეგში, როცა სასოფლო ფოსტის საქმე ცოტათი მაინც გაუჯდება ჩვენს ხალხს ძვალსა და რბილში, და მით შემოსავალი საზოგადოებისა იმატებს, ამ ჟამს საზოგადოება ერთ-ნახევრად შეამცირებს. მართალია, ბატონებო, ეს დაწესებულება ახალია, ჯერ თითქმის არსად გა-

---

ლო ქცევას მაგალითად ვუჩვენებთ ჩვენ მთელ გერმანიის ჯარს.

მხნე სალდათმა ჰიპმანმა, წაქეზებულმა უფროსის სიტყვებით, მოინდომა თავის გამოჩენა; კვამლის ღრუბლებში გადიარა ქუჩა; თოფის კონდახით გამოტეხა კარი ქუჩის-იქითა სახლში და შევიდა შიგ.

ოთახი, რომელშიაც ის შევიდა, იყო, ერთ და იმავე დროს, სასადილოც, საწოლიც და სამზარეულოც, ერთი სიტყვით—მთელი სახლი ღარიბი კაცისა. კრაოტზე კვნესოდა დაჭრილი; აკვანში ყვიროდა ორი წლის ბავშვი; კრაოტ და აკვნის შუა ქვითინებდა ახალგაზდა ქალი. რაკი დაინახა ნემეცი, რომელმაც შემოამტვრია კარები, დაჭრილმა შეიკრიბა უკანასკნელი ძალა, ჩამოხტა საწოლიდამ და თავისი მომაკვდავი სხეულით დაჰფარა ცოლი და ბავშვი. თვალები აენთნენ, კბილებს აკრაჭუნებდა და ჰიპმანი კი იღიმებოდა. მან დაუმიზნა თოფი და გაისროლა. საბრალო დაეცა ძირს.

— თხუთმეტი,—წარმოსთქვა ჰიპმანმა.

ქალმა საშინლად დაიკივლა და სტაცა ხელი ბავშვს; მას უნდოდა გაქცევა. ჰიპმანი დაუხვდა კარის წინ. შტიკით გაუპო მუცელი ქალს და თოფის კონდახით გაუჭყლიტა თავი ბავშვს იმის დედის მკერდზე.

— ესეც თექვსმეტი... ჩვიდმეტი!— დაიძახა მკვლელმა.

მერმეთ ნემეცების სალდათმა მიიხედ-მოიხედა ირგვლივ: ბუხარზე, ქიქის ბუშტის ქვეშ, დაინახა ერთი წყვილი ბავშვის წვრილი ფეხსაცმელი,— ნათლობისთვის ნაყიდი თეთრი ატლასის ბაშმაკები, ვერცხლით ნაქსოვი არშიათი.

ჰიპმანმა გასტეხა ქიქა, მოჰკიდა ხელი ფეხსაცმელს და ჩაიწყო ჩანთაში.

— ეს ჩემს პატარა ვილჰელმს,— სთქვა მან სულელური ღიმილით.

კორპუსის კომანდირს მოახსენეს: «მარტო ჰიპმანმა მოკლა ჩვიდმეტი კაცი ბაზელშიო!»

მან დანიშნა მოხსენებაზე:

«ჰიპმანი—მხნე სალდათია; საჭიროა ის ვაჩვენოთ მაგალითად მთელ გერმანიის ჯარს».

როდესაც ომი გათავდა და ჩამოვარდა მშვიდობიანობა, მხნე სალდათმა, ჰიპმანმა, ერთმა პირველთაგანმა აიღო დათხოვნის ქაღალდი და წავიდა თავის სამშობლოში საყვარელ გრეთხენთან და პატარა ვილჰელმთან.

მხიარულად გაიარა ის მანძილი, რომელიც ჰყოფდა რკინის გზის სტანციას და იმის სამშობლო ქალაქს. ბუნებაც ამ დროს თითქო ეთანხმებოდა მის ბედნიერებას. ჰაერი შეზავებული იყო იასამანის სუნნელებით; მზე სასიამოვნოდ ათბობდა, მაგრამ არა სწვავდა; წყაროებზე იდგა მოთეთრო ნისლი, მწვანე ნაზი ფოთოლი ჰფარავდა ხეებს. მიაღწია თუ არა თავისი ქალაქის პირველ სახლებს, ჰიპმანი შეჩერდა, ამოიღო ჩანთიდამ პაწია ვერცხლით მოქარგული ფეხსაცმელი და სთქვა ხმა-მაღლა:

ამათ მე ეხლავ ჩავაცმევ ჩემს პატარა ვილჰელმს. ქუჩაში შეხვდენ რამოდენიმე ძველი ნაცნობები, რომელთაც ჩუმად ჩამოართვეს ხელი და მსწრაფლად გაუდგენ თავისს გზას, თითქო მათთვის უსიამოვნო ყოფილიყოს მასთან ყოფნა. ქალებიც, შეხედავდენ თუ არა მას, აჩქარებით უხვევდენ გზას და ბუტბუტობდენ თავისთვის:

— ოჰო, გრეთხენის ქმარი! ერთი ამბავი ატყდება ეხლავე!

პირველად ჰიპმანი თითქო ჩაფიქრდა, მაგრამ მერე დაიმედა თავისი თავი იმ აზრით, რომ უსათუოდ არ იციან, როგორ დაიჭირონ ჩემთან თავი და ფიქრობენ, რომ მე ეხლა გავამაყდი; ისინი, რასაკვირველია, წაიკითხავდენ:

«სალდათი ჰიპმანი—მხნე სალდათია, და მისი სასიქადულო ქცევა სამაგალითოა მთელის გერმანიის ჯარისათვის».

ამ დროს მის ახლო ჩაიარა ერთმა ბავშობიდამვე თანშეზრდილმა ამ-

მოცდილა, მაგრამ სიახლეს ნუ შეუშინდებით.

მერწმუნეთ, რომ როდესაც თვით საქმით გამოჰსცდით მის სიკარგეს და საჭიროებას, მაშინ თვითონვე აღარ მოეშვებით.

ი. პ. როსტომაშვილი.

ქ. თელავი.
8 იანვარს 1884 წ.

## «დროების» კორესპონდენცია.

ს. დახ-სარვანი. 10 იანვარს ბორჩალოს მაზრაში, სხვა სოფლებთან ერთად, იღწვის საცოდაობაში აგრეთვე სოფელი დახ-სარვანიც. გაჭირება, ვაი-ვაგლახი, როგორც ყველგან ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, აქაც მრავალია. ამიტომ არ შეგაწყენთ თავს, რომ დაწვრილებით გიამბოთ აქაური ხალხის გარემოება. მხოლოდ არ შემიძლიან გავჩუმდე ერთს საყურადღებო გარემოებაზე, რომელიც ასე მწვავედ გადაჰჭირებს ხოლმე გლეხკაცის საცოდავ ზურგსა. ეს გარემოება გახლავთ შემდეგი. დღეს შემხვდა ჩემი მველი ნაცნობი, ერთი საწყალი და უენო თათარი, ჭუმბათ ქიბოლი, დახ-სარვანის მცხოვრები. ქ. თბილისიდგან დაბრუნებულიყო და მეტად წელ-მოწყვეტილი მოდიოდა უბედური. შევატყე, რომ მისი საქმე არ იყო კარგად.

წარსული წლის გასულს, საწყალმა ქიბ-ოლიმ ახსენა ალლახი, შეაბა რქებზე თოკი თავის ფურსა, გაიგდო წინა და გასწია თბილისისკენ—ეგებ, გავყიდო და როგორმე გავისტუმრო ეს დაუნდობელი გზირები, რომელნიცა ფოსტის ფულის გამო, სისხლს მიშრობენო. 28 დეკემბერს გაეყიდნა კიდეც და, მართალია, ამის გამო, ცუდად უთენდებოდა ახალი წელი, მაგრამ მაინც გზირების გასტუმრება იმას არ მიაჩნდა ნაკლებ სიხარულად, ვიდრე ქართველი კაცი მიეგებება ახალ-წელს. მაშ ასრე წელ-მოწყვეტილი რად იყო ქიბოლი?—იმათ, რომ ძროხა კი გაეყიდნა, მაგრამ ფული კი ვერ მიეღო და, მგონი, ვეღარც მიიღოს. როგორ? განა შეიძლება ასეთი ვაჭრობა, მერე კაცისაგან, რომელსაც ფული ისე უჭირდა, როგორც მომაკვდავს სიცოცხლე? ასე კი მომხდარიყო და, თქვენ რაც გინდათ თქვით. ეყიდნა ერთს არამზადა ყასაბს, ივანე ელიზბარაშვილს. ხუთი მანათი ბე მიეცა და 23 მანათიც უნდა მაშინვე მოეტანა. აგერ, დაბრუნდა ელიზბარაშვილი. ქიბოლის გული უცემს—დანარჩენსაც მივიღებ და გავწევ შინისკენო. მაგრამ ქალაქელი არამზადა სხვასა ფიქრობდა: «მაიტა ეგ ხუთი მანათი ბე და აჰა, ჩაიბარე შენი 28 მანათი, ძროხის ფასიო.» ქიბოლიმ ფიცხლავ ამოიღო თურმე და მიაწოდა ბე. ელიზბარაშვილმა გამოართო, დაჰკრა ფეხი და გაჰკურცხლა... მშვიდობით, ცოლო და შვილო! მშვიდობით, ნაწვავ-ნადაგო ძროხავ! მშვიდობით, მაცდურო იმედო, ვითომც ქიბოლის გაესტუმრებინოს გზირები!..

ბევრი სდიეს ელიზბარაშვილს, ბოლოს მიაგნენ. ორი დუქანი ჰქონია—ერთი ავლაბარში, ერთიც გარეთ-უბანს. მაგრამ რამდენიც ქიბოლი მიადგება კარს და მოსთხოვს თავისას, იმდენი დაიმკლავებს ყასაბი ელიზბარაშვილი და მიამტვრევს მთხოვნელს ცხვირ-პირსა. თავ-დასისხლიანებული ქიბოლი ხან ვის ეხვეწება შველას და ხან ვისა. პოლიცია ერთი კუთხის კანცელარიიდამ მეორეში გზავნის. მაგრამ უენო ქიბოლის ყურს არავინ უგდებს. ორი კვირა კიდევ დარჩომილიყო ქალაქში, ერთი ათ-ჯერ გატყეპილიყო ელიზბარაშვილისაგან, დასდებოდა ნაცნობების ექვსი მანათი ვალი და ბოლოს, წელ-მოწყვეტილი, როგორც მოგახსენეთ, დაბრუნებულიყო შინ. ათს კაცზე მეტი ყოფილა მოწამე ამ ვაჭრობაზე და ცემატყეპაზე ხომ უფრო მეტი. ყველგანა მოწმობენ ეს დამსწრენი, მაგრამ პატრონი ვინა ჰყავს საცოდავ ქიბოლის! ვის შესტკივა იმაზედ გული! ვინ წაუსარჩლებს! არა და არავინ!..

რომელი გლეხ-კაცი არ ჩაუგდიათ თბილისელებს ამ გვარ ყოფაში. ნუ თუ არავის მოვალეობას არ შეადგენს დაიდაიფაროს ამისთანა განსაცდელისაგან საწყალი სოფლელი ხალხი!..

## უცხოეთი

— ჩვენის გაზეთის გუშინდელს №-ში მოყვანილი მარკიზ ძენგის წერილიდამ დაინახავდა მკითხველი, რომ ჩინეთსა და საფრანგეთ შუა ჩამოვარდნილი განხეთქილება თან-და-თან უფრო ძლიერდება, უფრო ძნელდება და ისეთს ხასიათს იღებს, რომ ძნელი მოსალოდნელი-ღაა მშვიდობიანად, უსისხლოდ დაბოლოვდეს მათი საქმე. ამ აზრს ამტკიცებენ პეკინიდგან შემდეგ მოსული ამბებიც. ერთს ფრანცუზს, რომელიც 20 წელიწადია ჩინეთში სცხოვრობს, თურმე შემდეგი წერილი მოუწერია: «ეჭვი არ არის, რომ ჩვენ აქ დიდი საშიშროება მოგველის: ჩინელნი ფრიად მარჯვე და გამბედავი ხალხია, ისინი «შავ დროშათ» არ ჩამოურჩებიან. მე მივიღე წერილი ერთის ჩემის ჩინელი მეგობრისაგან, რომელიც მაუწყებს, რომ ჩინეთის ჯარები მალე დასწვავენ ქრისტიანების ტაძრებს, მაგრამ ეს სრულიად არ მაშინებს: მე 1870 წელში ვნახე და სრულიად შევეჩვიე ცეცხლს, მაგრამ აქ ჩვენთან სცხოვრებენ ოც-და-ათნი მოწყალების დანი წმ. ვიკენტის ორდენისანი და მე არ მინდა, ისინი მარგილზე ჩამოგებულნი ვნახო, როგორც 1870 წელში.

«აქ სულ ყველა ომზე ჰფიქრობს, ომზე ლაპარაკობს, ყველას ომი სწყურიან და ჩინელებმა რომ პარიჟი იცოდენ, უეჭველია, დაიძახებდენ: «პარიჟში, პარიჟში!», როგორც ერთხელ ჩვენ ვიძახდით: «ბერლინში, ბერლინში!» ყველა ნავთ-სადგურები მომზადებულნი არიან საომრად, ყველა პატარა ციხეები დაიარაღებულნი და გამაგრებულნი არიან, ყველა მდინარენი შეკრულნი არიან ტორპედებითა; 200000 სალდათზე მეტია დაიარაღებული ჩქარა-მსროლელი თოფებითა. თქვენ შეგიძლიანთ გამოაცხადოთ ეს ამბავი, რადგანაც ეს საეჭვო არ არის.

«თუ ჩინეთთან ომი უნდათ და ამასთანავე შიგვე ჩინეთში, 50,000 კაცზე ნაკლები ჯარი არ უნდა გამოგზავნონ. ამისათვის მე ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნებოდა ჩინეთთან ომი ტონკინში გაეწიათ; იქ 20,000 კაცი სრულიად საკმაო იქნებოდა, რადგანაც ჩინელებს ტონკინში მოსვლა შეუძლიანთ მხოლოდ პატარ-პატარა, ცალ-ცალკე რაზმებად და იმათი თითო-თითოდ დამარცხება ადვილი იქნებოდა.

«ამ ჟამად შიგ ტონკინში 20,000 ჩინელი უნდა იყოს და 30,000-ც სამზღვარზე; ყველა ეს ჯარები კარგად არიან შეიარაღებულნი და სურსათიც ბლომადა აქვსთ. ამათთან ბრძოლის მოფიქრება და სიფთხილე უნდა, რადგანაც ესენი, თუმცა გაშლილს ველზე არ ვარგანან, მაგრამ სიმაგრებიდამ ფრიად ძლიერი ომი იციან».

— პარიჟიდგან იწერებიან გაზეთებში, რომ ახალ წელიწადს იქ მრავალი სლავიანები, ჩეხები, პოლიაკები და რუსები შეკრებილან ეგრედ წოდებულს «მშვიდობის მოედანზე» და სტრასბურგის სტატუიას ფეხთით დაფნის გვირგვინები დაუწყვიათ. გვირგვინების ზედ-წარწერებში გამოხატულია საფრანგეთისადმი შეურყეველი სიყვარული და რწმუნება, რომ მისი მომავალი ბედნიერია. ამ მანიფესტაციის გამო ზოგიერთა ჟურნალ-გაზეთებმა იწყეს მტკიცება, რომ სლავიანებს და ფრანცუზებს აერთებს ერთმანეთში ინტერესების ერთობა და თვისი ბუნებრივი მტრის—გერმანიისადმი სიძულვილის გრძნობა.

---

ხანაგმა, მაგრამ თითქო ვერ იცნო იგი. ჰმანმა დაუძახა მას. იგიც შეჩერდა, მაგრამ, ეტყობოდა, უკმაყოფილოდ.

— როგორ, ვერ მიცანი თუ?

— არა, გიცანი და გხედავ, რომ კარგადა ხარ.

— დიახ, მე კარგად და მშვიდობითა ვარ.

— რისთვის დაბრუნებულხარ?

— როგორ თუ რისთვის? მე მინდა რაც, შეიძლება, მალე ვნახო ჩემი ცოლი და ბავშვი.

— ეს რაღაა? ჰკითხა ამხანაგმა იმ აზრით, რომ გამოეცვალა მუსაიფი და მიუთითა ფეხსაცმელზე.

— ეს ჩემი ვილჰელმისთვისაა.

— ააა! — წარმოსთქვა ამხანაგმა ოხვრით.

და, ჩამოართვა რა ხელი სალდათს, მოინდომა წასულიყო თავის გზაზე.

— ეს რას ნიშნავს? რა გემართება?

ნაცნობმა უფრო მაგრად მოუჭირა ხელი-ხელზე სალდათს და არაფერი არ უპასუხა.

— მითხარი, ვაქო, გაათავე... სადაა ჩემი ცოლი... ჩემი ბავშვი?..

— შენი ბავშვი... იქა.

და მან მიუთითა დაბალ მოაჯირს ქალაქის სასაფლაოსას, რომლის მაღლა ირხეოდენ კიპაროსების მოშავო წვეტები.

ჟრუანტელმა დაუარა სალდათს მთელ სხეულში, თავიდამ ფეხებამდის; ის გალურჯდა ერთიანად. ცივი ოფლი გადაასქდა საბრალოს შუბლზე.

— ვილჰელმი მოკვდა?—წარმოსთქვა მან ხმა წასელით.

— დიახ.

სალდათის ფართო მკერდი ისე აიწია მაღლა მძიმე ოხვრისაგან, რომ კინაღამ მუნდირი შეასკდა.

— მერე... დედა?.. წარმოსთქვა მან ძალ-დატანებით. ნაცნობმა მიუთითა ქუჩის გადაღმა ერთ მიკიტან-ხანაზე, რომელზედაც გამოკიდებული იყო ფიცარი მოკლე ზე-წარწერით: «დიდებული კოროლი», და აჩქარებით გაუდგა თავის გზას.

მიკიტან-ხანა—«დიდებული კოროლი»—მეტის-მეტად საკვირველი ადგილი იყო აფიცრებისთვის; იქ სალამოობით მუდამ იკრიბებოდენ მხიარული ქალები.

პაწია ბაშმაკები გამოუვარდა სალდათს ხელებიდამ; იგი მიეყუდა კედელს, რომ არ წაქცეულიყო; თვალები აევსო სისხლით, ყურებმა წივილი დაუწყო.

— სალდათი ჰიპმანი—მხნე სალდათია,—იგი ჰკლავს ქალებს და ბავშვებს და მისი სასიქადულო ქცევა სამაგალითოა მთელი გერმანიის ჯარისათვის.—უეცრად ბაზელის გმირი გაიმართა წელში; კბილები დაეკრენ ერთი მეორეს, თვალები ცეცხლსავით აენთენ. მან გადაიარა ქუჩა, შეაღო კარი მიკიტან-ხანაში და პირ-და-პირ მივიდა მეოთხე სტოლთან.

ამ მეოთხე სტოლთან იჯდა აფიცერი, რომელიც სვამდა ერთ ქალთან და შეჰყურებდა მას ურცხვი თვალებით.

— ბატონებო, ჩემი ქმარი!—დაიყვირა ქალმა შიშით. ჰიპმანი ჩუმად მივიდა აფიცერთან, შეხედა მას დაცინვით, მოიქნია ხელი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სილა გაარტყა. აფიცერი წამოვარდა ზეზე, ამოიძრო ბუდიდამ რევოლვერი და იქვე დაახალა სალდათს გულზე.

მკვდარი აიღეს და გაიტანეს გარეთ.

ერთმა, ამ ამბის თან დამსწრე აფიცერთაგანმა, წარმოსთქვა:

— მან თქვენ შეურაცხგყოთ და თქვენც მართალი ხართ, რომ მოკალით იგი. მაგრამ მაინც საწყენია კი: კარლი ჰიპმანი—მხნე სალდათი იყო და მისი სასიქადულო ქცევა ბაზელში მაგალითად იყო ნაჩვენები მთელი გერმანიის ჯარისთვის.

ალ. ბ—ხ—ც—ძ—ე.

— გაზ. «Русскій Курьеръ»-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იწერება შემდეგს შესახებ იმ ცეცხლ საკიდებისა, რომელიც წარსულს დეკემბერში სტამბოლში მოხდა და რომლის მსხვერპლადაც მრავალი ხალხი შეიქმნა: «11 დეკემბერს პერაში სამი მკვლელობა მოხდა და ოცი ყმაწვილიც დაიწვა. მოკლულებს თავს დავანებებ და დამწვრების ამბავს გიამბობთ. ცეცხლის მსხვერპლად შეიქმნა ებრაული სკოლა, რომელიც გალატაში იმყოფება. ყველა მოწაფეთაგან მხოლოდ ოთხი გადარჩა, დანარჩენი ოცი დაიწვა ცეცხლში. სკოლის მეუფროსე—ქალი ფანჯარიდამ გადმოხტა, ქუჩის ქვებზე დაეცა და თავი შუაზე გაუსკდა. იმის ქმარმაც ამგვარადვე მოიმდომა თავის გადარჩენა, ისიც ფანჯრიდგან გადმოხტა და იმან ფეხები დაიმტვრია; თუმცა არ მოკვდა კი, მაგრამ ისე შეიშალა ჭკუაზედ, რომ იმის მორჩენის იმედი აღარავისა აქვს. ეს სკოლა გამართული იყო ღარიბი პოლშელ ებრაელთათვის, და იმყოფებოდა ერთი შენობის მესამე სართულში; ამ შენობის ძირ სართულში იმყოფებოდა სასმელების დუქანი. ქვემოთ ფიცრის კიბეზე ვიღამაც ლამპა წააქცია და ერთს წამში მთელს კიბეს მოედვა ცეცხლი. სკოლაში ცეცხლის წაკიდება მხოლოდ მაშინ შეიტყეს, როდესაც კიბე იწოდა და ბავშვებს აღარ შეეძლოთ იმ კიბით ძირს ჩამოსვლა. თუმცა ერთი ნაწილი კიბისა არ დამწვარა და შეიძლებოდა აქედამ თავის გადარჩენა, მაგრამ ბედკრული ბავშვები შიშისაგან ისე დაიბნენ, რომ ეს გზა ველარ იპოვნეს; მეზობლებიც, რომელთაც აცოდენ ეს კიბე, არ მიეშველნენ მათ, და მშობლებიც მაშინ მოცვივდენ, როდესაც შველა აღარაფრით არ შეიძლებოდა. შესაზარი სანახავი იყო, როდესაც ნაცრიდამ დამწვარი ყმაწვილები ამოიღეს. ყველაზე უფროსი რვა წლის ყმაწვილი იყო. მეორე დღეს ყველანი დამარხეს. თითქმის მთელი სტამბოლი დაესწრო ამ სატირელს ამბავს; ყველანი ტიროდენ. საწყალი ებრაელები! ვინ იცის რამდენი ტანჯვა და მწუხარება გამოიარეს ამ უკანასკნელს დროს სტამბოლში და ეხლა ეს უბედურებაც ზედ დაერთოთ! ამ შემთხვევამ პოლიციაზე დიდი ყვედრება და უკმაყოფილება აღძრა ხალხში და ჟურნალ-გაზეთებში. ის სასმელების დუქანი, საიდამაც პირველად ცეცხლი დაიწყო, სწორედ გალატის პოლიციის წინ არის და ფიქრად არავის მოსვლია, რომ ამავე შენობაში არ შეიძლება სკოლა იმყოფებოდეს».

— მკითხველებმა იციან, რომ ამ მოკლე ხანში ეგვიპტის წინანდელი სამინისტრო სამსახურიდამ გამოვიდა და ახალი კაბინეტი შესდგა. წინანდელს მინისტრებს თავის სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდში სამსახურიდამ გამოსვლის მიზეზად, სხვათა შორის, შემდეგი მოჰყავთ: «ინგლისის დედოფლის მმართებლობა თხოულობს სუდანს თავი დაანებეთო, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ ამაზედ, რადგანაც სუდანი ეკუთვნის ოსმალეთსა, რომელმაც ჩვენ ჩაგვაბარა იგი. დედოფლის მმართებლობა ამბობს, რომ ეგვიპტე უნდა ხმა-ამოუღებლად მისდევდეს ჩვენს რჩევასაო, მაგრამ ეს შეადგენს დარღვევას 23 აგვისტოს 1878 წელს გამოცემული ორგანიული კანონისას, რომლის ძალითაც ეგვიპტის გამგეობა ეკუთვნის ხედივს და იმის მინისტრებს. ჩვენ ვანებებთ სამსახურს თავს იმიტომ, რომ გვიშლიან განვაგოთ საქმენი თანახმად კონსტიტუციისა.»

— ერთს გაზეთს მოსვლია რომიდამ ტელეგრამა, რომ ამერიკიდამ ლევ XIII სახელობაზე მოსულს წერილებში უპოვნიათ ერთი წერილი, რომელშიაც ფენიები ძლიერ თურმე ემუქრებიან მას იმის გამო, რომ იგი ხელს უმართავს და შემწეობას აძლევს ინგლისლებს ირლანდიელების წინააღმდეგ, რომელნიც იბრძვიან თავის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

—ამას წინად პაპას მიუღია რუსეთის ელჩი ბუტენევი. ულტრამონტანების ჟურნალ-გაზეთები ამ შემთხვევაში ჰხედავენ რუსეთის მმართებლობის და რომის კურიის ერთმანეთთან დაახლოვებას და დამეგობრებას; ამის გამო დიდს ალტაცებაში არიან ისინი და მრავალ-გვარი შედეგი და დასკვნა გამოჰყავთ ამ დაახლოვებიდგან.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

12 იანვარს.

პეტერბურგი. ვანიდამ ამბავი მოვიდა, რომ იქაურმა ინგლისის ელჩმა არხიეპისკოპოსი ხრამიანის პატივსაცემლად გამართა ბანკეტი, რომელზედაც წარმოსთქვა—სომხებს იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ ბერლინის ტრაქტატით გარდაწყვეტილი ცვლილებები მალე იქმნებიან შესრულებულნიო; ინგლისი ამაზე ძალას ატანს და მუსტაფა-ფაშამ ვერ დააჯერა ევროპა, ვითომც სომხები კეთილ-დღეობაში იყვნენო. ხრამიანმა მიუგო—სომხებს არაოდეს არ ჰქონიათ ეჭვი იმაზედ, რომ ინგლისი მუდამ მათი თანამგრძნობელია; ამასთანავე ხრამიანმა დალია სადღეგრძელო დედოფლისა, გლადსტონის და დიუფერინისა.

სარატოვი. 15 იანვრისთვის დანიშნულია გუბერნიის ერობის საგანგებო კრება შესახებ პენზო-ლოზოვო-ხარკოვის რკინის გზისა.

სლონიმი. გუშინ აქ ისეთი საშინელი ქარი იყო, რომ ბევრ სახლებს მოანგრივა ბანები; თითქმის ყველა სახლებზე დაკიდული ნიშნები ჩამოყარა; მრავალი ხეები ამოაგდო ძირიანად; რამდენსამე საქენზე გადააგდო ერთი კაცი, რომელიც იქვე მოკვდა.

13 იანვარს.

მოსკოვი. გუშინ მოსკოვის უნივერსიტეტმა იდღესასწაულა 129-ე წელიწადი თვისის არსებობისა თანადასწრებით მოსკოვის გენერალ-გუბერნატორისა, მზრუნველისა და სხვა საპატიო პირთა. პროფესორმა გერიემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ტაშის-კვრით მიიღეს. ბოლოს იგალობეს სახალხო ჰიმნი და შემდეგ გამართეს ამხანაგური სადილი მოსკოვის ტრაქტირში.

მოსკოვის უწყებებში დაბეჭდილია ვრცელი წერილი შესახებ იმ ხმებისა, რომელნიც დაბეჭდილიყვნენ უცხო ქვეყნის გაზეთებში, ვითომ რუსეთის სახელმწიფო წყობილებას დიდი ცვლილება მოელოდეს. ამ წერილში «მოსკოვის უწყებები» ამტკიცებენ ამ უსაფუძვლო ხმების მავნებლობას. გაზეთი ამბობს,—ამ ხმების საბაბი ის არის, რომ წარსულ აღელვებულ მეფობას სრული სიჩუმე მოჰყვაო. ეხლა ყოვლისფერი დამშვიდებულია, მაგრამ არ ვიცით ჩვენს ქვეყანას მომავალში რა მოელის, როგორი წყობილება დამყარდებაო. ბოლოს გაზეთი ამბობს: უნდა რაიმე გადაწყვეტილს გზას დავადგეთო; უნდა ვიცოდეთ—რუსეთი რუსეთად უნდა დარჩეს თავის ეკლესიით, თავის სახელმწიფო უფლებით, თუ ჩვენგან ცნობილი რუსეთის მაგივრად, უნდა დამყარდეს რაღაც ახალი, უცნობი ჩვენთვის. ეხლანდელს უცნაურს მდგომარეობაში ჭკვიანებიც კი გიჟებსა ჰგვანან. ერთის თვითმპყრობელობის მაგივრად, რომელიც ჩვენმა ისტორიამ მოგვანიჭა, ჩვენ დავბადეთ ჩვენს ოცნებაში რამდენიმე თვითმპყრობელობა, რომელნიც თანდათან ჩვენს საქმეებს ეპატრონებიან. დროა განვთავისუფლდეთ ამ მოჩვენებისაგან. ამისთვის არ არის საჭირო განსაკუთრებული ძალდატანება და თავისმტვრევა; საჭიროა მხოლოდ გამოათვხიზლოთ ის დაწესებულებანი, რომელნიც ნამდვილი რუსეთისათვის არიან შექმნილნი და არა ფანტასტიურისათვის. მაშინ რუსეთში სულ სხვაფრივ წავა საქმე; მაშინ გამოსათქმელი ითქმევა და გამოურკვეველი გამოირკვევა. მაშინ იგივე დაწესებულებანი იმოქმედებენ, მაგრამ სხვაფრივ-კი. მხოლოდ მაშინ დააფასებენ სასიკეთო მნიშვნელობას წარსულ მეფობის რეფორმებისას.

## განცხადებანი

რკინაზედ ფასების დაკლების გამო, ყოველ გვარი რკინის კრაოტები 10% ნაკლებ ისყიდება. ინგლისის მაღაზიაში უამისოდაც 25% ნაკლებ ვყიდდით სანამ სხვა სავაჭრო სახლებში ჩვენვე მივიღეთ დიდ-ძალი უპირველესი სორტის ფუჩუ-ფუ ჩაი, 1-ლი მოკრეფისა. გირვ. 2 მ. წმინდა ჩაი, უქაღალდოთ. ამ ჩაისა სხვა მაღაზიებში ყოველგან ისყიდება 3-მის მანეთიდგან 4-ს მანეთამდინ. რადგანაც ტანისამოსის ვაჭრობას ვსპობთ—ქალების დოლმანები და სხვა ტანისამოსები ისყიდება 20% ნაკლებ. (10—7)

### საპონი.

გლიცერინისა, ნუშისა, ვარდისა, კორბოლოვისა, ლატუშისა, ბრინჯისა და სხვა ბევრი ინგლისის მაღაზიაში. იქვე ოდეკალონი და სხვა ტუალეტის კუთვნილებანი 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (12—12)

### ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათიდები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ქაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—43)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაი |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—86)

Довв. цензур. Тифлисъ, 13 Января 1884г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.